წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

N 3 10

02/03/2020

წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2020 წლის თებერვლის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა, მიერ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 ივლისის №31 დადგენილების შესაბამისად, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულომ *გადაწყვიტა,*

1. გაიცეს წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2020 წლის თებერვლის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები თანდართული დანართის მიხედვით.

2. დაევალოს წალკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს მოახდინოს აღნიშნული თანხის გამოყოფა და გაცემა.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

ი. გიგინეიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე